წერილის ნომერი: **18-01191582078**
თარიღი: **07/06/2019**
პინი: **6545**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც, „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 30 მაისის N60-01191501892 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ნატალია გლინსკაიას NAR1681337 განცხადება), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, სს „მეტრა პრაიმის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქალაქ თბილისი, ქუჩა ჩახრუხაძე, N25-27-ის მიმდებარედ, შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან (ნაკვ.N16/4) ს.კ.: 01.18.03.016.045; ფუნქციური ზონა: სსზ-2) III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, წარმოდგენილი გამწვანების პროექტის შეთანხმებას.

გაცნობებთ, რომ მოცემული პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (დასარგავი 27 ძირი შავი ბამბუკი, 42 ძირი უთხოვარი, 26 ძირი ჰორტენზია, 8 ძირი სურო და 4 ძირი ჭრელფოთოლა სურო, **სულ - 107 ერთეული მცენარე**) სრულად ითვისებს, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 04 აპრილის N4476174 ბრძანებით დადგენილ სავალდებულოდ ასათვისებელ კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (28.5 კვ. მეტრი). **შესაბამისად, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია (**სადაც უნდა მიეთითოს გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი (მოცემული პროექტი უნდა დასრულდეს ექსპლუატაციაში მიღებამდე)).**

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**16-01191553368**
თარიღი: **04/06/2019**

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალბატონო თეონა,

თქვენი მ/წლის 31 მაისის N 60-01191512255 წერილის (მერიაში რეგისტრაციის №17-01191512961-16; 31.05.2019წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ 2019 წლის 23 მაისის №AR1681337 განცხადებაზე წარდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სამსახურის მიერ შეთანხმებულია.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)